საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/65 "5" ივლისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

მ. ოქროპირაშვილისათვის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

2022 წლის 21 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეს, ამოეწურა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის, პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ დაყენებულ იქნა საკითხი ზემოთ აღნიშნული სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნამდე უფლებამოსილების მოსამართლე მალხაზ ოქროპირაშვილისათვის დაკისრების თაობაზე. საკითხი მხარდაჭერილ იქნა საბჭოს ყველა წევრის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მალხაზ ოქროპირაშვილს დაეკისროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება, 2022 წლის 6 ივლისიდან.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე